ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ63. 6322293001**
თარიღი:**20/10/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ოქტომბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის გადაწყვეტილების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 21-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022-2023 წლებში განსახორციელებელი 12 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–ს შორის, 2021 წლის 11 ნოემბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

3. ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე, არასასოფლო–სამეურნეო წდანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ–ში მდებარე, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,კავშირი საფეხბურთო კლუბი სამტრედია“–სათვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიასა და „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)" შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებისთვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)"-დან გრანტის მიღებისთვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

5. **სხვადასხვა**

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი